ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №1

23 ივლისი 2013 წელი ქ. ახალციხე

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ბერიძე –ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბ. მაისურაძე – ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ.;
წევრები თ. ჟუჟუნაძე - ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურისტის მ.შ., ე. ვეფხვიაშვილი- ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური დაგეგმარების ინფრასტრუქტურისა და შესყიდვების სამსახურის უფროსის მ.შ.
სხდომას არ ესწრებოდნენ საპატიო მიზეზით: კომისიის წევრები – ნ. ახალკაცი- ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე , ვ. რაზმაძე - ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მატრიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მ.შ., ნ. გოგოლაძე - ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური დაგეგმარების ინფრასტრუქტურისა და შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტის მ.შ.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ „ქ. ახალქალაქში დავით აღმაშენებლის ქ №119/2-ში მდებარე საერთო საცხოვრებლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის", კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე 2013 წლის 17 ივლისს გამოცხადებულ №866 კონკურსში მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულად გამოვლენა.

/მომხსენებელი: ბ. მაისურაძე/

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ინფორმაცია - ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ „ქ. ახალქალაქში დავით აღმაშენებლის ქ №119/2-ში მდებარე საერთო საცხოვრებლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის", კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე 2013 წლის 17 ივლისს გამოცხადებულ №866 კონკურსში მონაწილეობის მიზნით საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა შ.პ.ს. „ორიენტირი 2012" შემდეგ თანხაზე: 1800 (ათასრვაასი) ლარი.

განხილვა: შ.პ.ს. „ორიენტირი 2012"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება

დაადგინეს:
1. შ.პ.ს. „ორიენტირი 2012"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკუსრო განცხადებას და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. კონკურსში: „ქ. ახალქალაქში დავით აღმაშენებლის ქ №119/2-ში მდებარე საერთო საცხოვრებლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის მეშვეობით შესყიდვის შესახებ", საკონკურსო კომისიის წევრების შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს შ.პ.ს. „ორიენტირი 2012".
3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ეკატერინე ვეფხვიაშვილს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე შ.პ.ს. „ორიენტირი 2012"-ის

წერილობითი ინფორმირება და გაფორმების შემდეგ ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. საკონკურსო კომისიის წევრს ეკატერინე ვეფხვიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება არაუგვიანეს 2013 წლის 23 ივლისისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე; მ. ბერიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ბ. მაისურაძე

წევრები: ე. ვეფხვიაშვილი

თ. ჟუჟუნაძე